ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი------**დავით სამსონიძე**

თანამდებობის დასახელება-------- ფრაქციის ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილე

ფრაქციის დასახელება- ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო"

კომისი(ებ)ის დასახელება-------
- საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

- საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის - # 37.01 ახალციხის მაჟორიტარული ოლქი

საანგარიშო პერიოდი- 2023 წლის--01.01----დან 2023----წლის-----01.11-მდე.

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა -----10

საკრებულოს სხდომაზე დასწრება---9

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა -2023წ.

- საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა - 3, ესწრებოდა - 3 სხდომას;

- საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია, კომისიის სხდომების რაოდენობა -4 , ესწრებოდა - 3 სხდომას.

3. სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 2 სხდომა;

ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 2 სხდომა.

4. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამის ,,ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს" (კოდი 04 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარჩინებული სტუდენტებისთვის ახალციხის მერის სტიპენდიის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროგრამების ფარგლებში ფულადი საჩუქრის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;

- ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 ივნისის #44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადებების მოწონების თაობაზე;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება"-სათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (ლიბერტის აპარატები);
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება"-სათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლების გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება"-სათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლების გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება" - სათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

5. მოქალაქეებთან შეხვედრის რაოდენობა 6 და
შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა 92

აგრეთვე, ყოველდღიური, ინდივიდუალური შეხვედრები და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან გაწეული შუამდგომლობა.

მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

- ქ. ახალციხეში, ყაზბეგის ქუჩაზე(რაბათის უბანი), მინი სტადიონის რეაბილიტაცია, სპორტული სავარჯიშო ტრენაჟორებისა და ფანჩატურის მოწყობა;
- ბაღინაშვილის ქუჩის მე-2 ჩიხში მიმდინარე საკანალიზაციო ქსელის მოწყობა და შემდგომ აღნიშნული ტერიტორიის მოასფალტება;
- თამარაშვილის ქუჩის მე-6 კორპუსის საკანალიზაციო ქსელის და კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია. აგრეთვე მიუსაფარი ცხოველების პრობლემა;
- გრ. ხანძთელის ქუჩა #32 კორპუსის ფასადის შეკეთება და ამავე კორპუსის მობინადრეთათვის ავტოფარეხების პრობლემის მოგვარება;
- თამარაშვილის ჩიხში გზის მოხრეშვა- მოწესრიგება;
- ივანე ახალციხელი ქუჩის დასახლებაში (ე.წ. ახალი უბანი) სასმელი წყლის, საკანალიზაციო ქსელის და გზის მოწესრიგება;

6. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები):

- თამარაშვილის # 2, 4, 6, 8, 29, 31, 33 კორპუსების სადარბაზოების შიდა ფართის კეთილმოწყობის საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით პროექტის შედგენა, ტენდერზე გატანა და მიმდინარე სამუშაოების დაწყება, გარდა #6 კორპუსისა, რომელის საკითხიც გატანილია ტენდერზე;
- ბაღინაშვილის ქუჩის #2 ჩიხის მოასფალტების პრობლემის მოგვარება, კერძოდ, ქალაქის მერის - ირაკლი ლაზარაშვილის უშუალო ჩართულობით საკითხის დაპროექტირება. გამოვლინდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია და მიმდინარეობს სატენდერო - სახელშეკრულებო დოკუმენტაციის მოწესრიგება;
- თამარაშვილის ქ#6 კორპუსის ფასადისა და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის საკითხთან დაკავშირებით, შუამდგომლობა გაეწია საკრებულოს პირველი მოადგილის - დავით ტაბატაძის მიერ და გაიგზავნა შესაბამისი წერილები ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიაში და ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში".
- თამარაშვილის ჩიხში საავტომობილო გზის დროებით, მეორადი ასფალტით მოწესრიგების საკითხთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა ა(ა)იპ ,,ახალციხის სერვის ჯგუფთან";
- ქ. ახალციხეში, ყაზბეგის ქუჩაზე (რაბათის უბანი), მინი სტადიონის რეაბილიტაციის, სპორტული სავარჯიშო ტრენაჟორებისა და ფანჩატურის მოწყობის საკითხებთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან. ამჟამად მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება.

7. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

თანამშრომლობა სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, ტრენინგებში, შეხვედრებსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა.

მათ შორის - ტერიტორიული რეზერვის შექმნის თაობაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ის, ,,საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ", მიერ ორგანიზებული პროექტი ,,დასავლური ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა საქართველოს რეგიონებში".

შევსების თარიღი 20.10.2023 წ.

წარდგენის თარიღი 23.10.2023 წ.

ხელის მოწერა